ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 340

„11" ოქტომბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

**სსიპ ქალაქ თბილისის № 113 საჯარო სკოლისათვის ცოტნე დადიანის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-4[1] მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ დადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №113 საჯარო სკოლის დირექციას, რომ სკოლას მიენიჭოს ცოტნე დადიანის სახელი.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისის დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6)

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი